დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 100 000 (ასი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ფინანსური ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა 100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2.მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი